აჭარის
ტელევიზია
და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

ბრძანება # 02-03/20

ბათუმი 19 სექტემბერი 2017

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში პოლიტიკური რეკლამის განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 50-ე და 51-ე მუხლების საფუძველზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ვალდებულია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩენებში გააშუქოს წინასაარჩევნო კამპანია და განახორციელოს მისი წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა, რაც, პირველ რიგში გულისხმობს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ეთერში განთავსებას.

პოლიტიკური რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35^{10} მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. წინასაარჩევნო პერიოდში მაუწყებლის ეთერში პოლიტიკური რეკლამის განთავსების რეგულირების ფუნქცია დამატებით დაეკისროს სოციალური რეკლამის განთავსების მიზნით შექმნილ კომისიას.

2. სოციალური რეკლამის განთავსების მიზნით შექმნილმა კომისიამ გადაწყვიტოს წინასაარჩევნო პერიოდში თითოეული პოლიტიკური რეკლამის მაუწყებლის ეთერში განთავსების საკითხი.

2. სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურმა (ი.გოგოლიშვილი) უზრუნველყოს ამ ბრძანების მაუწყებლის ვებგვერდზე ატვირთვა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი, ზუბალაშვილის #30) მისი გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია 2017 წლის 20 სექტემბრიდან.

დირექტორი

ნათია კაპანაძე

შემსრულებელი: იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი მალხაზ ბოლქვაძე